

Capalac Kunstharz-Klarlack

პრიალა და ნახევრად მქრქალი (gloss & silk-matt)

გამჭირვალე დამასრულებელი დანაფარი/ლაქი - ემალებით ან ლაზურებით დაფარული ხის და რკინის ზედაპირებისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

შიდა სივრცეებში:

გამოიყენება დაუმუშავებელ ან ლაზურით დაფარულ ხის ელემენტებზე და ასევე ფერადი ემალით დაფარულ ზედაპირებზე (მაგ. Capalac Dickschichtlack Glimmer) - ზედაპირის მექანიკური ელასტიურობის, წმენდადობის უნარის და კლიმატური ზემოქმედების მიმართ მედეგობის გასაუმჯობესებლად.

ასევე შესაფერისია: რკინის, ფოლადის, ალუმინის (ანოდირების გარეშე) და სპილენძის ზედაპირების გამჭირვალე ლაქირება/დაფარვისთვის.

გაფრთხილება: პროდუქტი არ იცავს კოროზიისგან და დაუანგვისგან!

გარე სივრცეებში:

გამოიყენება, როგორც გამჭირვალე დამლუქავი/დამასრულებელი ფენა, ლაქით ან ლაზურით დაფარულ - მასიური ხის ზედაპირებზე (რომლებიც ინარჩუნებენ ზომებს).

თვისებები

- დარტყმის მიმართ მედეგი
- კლიმატური ზემოქმედებისადმი მაღალი მედეგობა
- კარგი შევსების უნარით
- არომატიზირებული გამსხნელების გარეშე
- დატანის შესანიშნავი თვისებები
- მრავალფუნქციური
- საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებების მიმართ მედეგი

მასალის შემკვრელი

ალკიდური ფისი არომატიზირებული გამსხნელების გარეშე

შეფუთვა

375 მლ, 750 მლ, 2,5 ლ.

ფერი

გამჭირვალე

თხევად მდგომარეობაში და წასმის პროცესში ლაქს აქვს რძისფერი იერსახე, თუმცა გაშრობის შემდეგ თითქმის უფერული ხდება (თეთრ ზედაპირზე აღინიშნება ოდნავ მოყვითალო ტონალობა).

სიპრიალის ხარისხი

პრიალა, ნახევრად მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 0,91 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
○	○	○	+	+
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

შიდა სივრცეები:

დაფარული და დაუმუშავებელი ხის ელემენტები. ფოლადი, რკინა, ალუმინი, სპილენძი - ისეთ შიდა სივრცეებში, სადაც ზედაპირებს კოროზიის და დაჟანგვის საფრთხე არ ემუქრება. ალკიდის ფისოვანი ლაქებით ან Capalac Dickschichtlack-ით დაფარული ზედაპირები.

არ გამოიყენება პარკეტის იატაკისთვის!

გარე სივრცეები:

ლაზურით და ემალებით დაფარული მასიური ხის ელემენტები. პროდუქტი გარე სივრცეებში არ გამოიყენება, როგორც გამჭირვალე ლაქ/საფარი, რადგან სხვა შემთხვევაში ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა არ იქნება უზრუნველყოფილი.

ზედაპირის მომზადება

ხის ელემენტები:

ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაინმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი).

ფოლადი, რკინა:

ფოლადის და რკინის ზედაპირს მთლიანად უნდა მოშორდეს ჟანგი. ალუმინის და სპილენძის ზედაპირები გაინმინდოს ნიტრო გამსხნელით.

ემალებით და ლაზურებით დაფარული ზედაპირები:

დამუშავდეს ზემოთაღნიშნული ქაღალდით (Glimmer-ის ფერების შემთხვევაში არ არის საჭირო) და გაინმინდოს.

დატანის მეთოდები

Capalac Kunstharz-Klarlack-ი შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, სამღებრო გორგოლაქით ან მიფრქვევით.

მითითებები მიფრქვევით დატანისას:

	Ø ნახვრეტის სისქე	წნევა	გაზავება	მასალის ტემპერატურა
Aircoat-TempSpray	0,009 – 0,013 inch	150 bar	–	35 °C

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	სივრცე	ზედაპირის მომზადება	გაფლენთვა	დაგრუნტვა	შუალედური დენა	საბოლოო დენა
ხე, ხის ელემენტები	ინტერ.	გაშლიფვა/ განმენდა	–	Capalac Kunstharz-Klarlack	საჭიროების შემთხვევაში Capalac Kunstharz-Klarlack	Capalac Kunstharz-Klarlack
მასიური ხის ელემენტები	ექსტერ.	BFS-Nr. 18	Capalac Holz-Imprägniergrund	Capadur UniversalLasur ან Capadur F7-LangzeitLasur ფერადი	1 – 2 x Capadur UniversalLasur ან Capadur F7-LangzeitLasur ფერადი ¹⁾	
ფოლადი, რკინა ალუმინი, სპილენძი	ინტერ.	გაინმინდოს ჟანგისგან, გაიშლიფოს, გაინმინდოს	–	Capalac Kunstharz-Klarlack	–	
ალკიდის ფისოვანი ლაქები	ინტერ./ექსტერ.	გაშლიფვა/ განმენდა	–	–	–	
Capalac Dickschichtlack	ინტერ.	გაშლიფვა/ განმენდა	–	–	–	

¹⁾ ფერადი საფარების შემთხვევაში, ზედაპირის ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა უზრუნველყოფილია. Capalac Kunstharz-Klarlack-ი არ არის ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი პროდუქტი.

რჩევა: კრიტიკული ზედაპირების, მაგალითად ქარხნული წესით დაფარული ფხვიერი, ან სპირალისებრად ხვეული დაფარვის შემთხვევაში, სასინჯი დატანით უნდა შემოწმდეს ადჰეზიურობა..

ხარჯი

	ფუნჯით/გორგოლაქით დატანა	მიფრქვევა
ხარჯი 1 ფენის დატანისას მლ/მ ² /	80 – 100	140

ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა ხდება მხოლოდ სასინჯი დატანით.

დატანის პირობები

- გარემოს, მასალის და ზედაპირის ტემპერატურა: მინიმუმ 5 °C
- ჰაერის ტენიანობა: ≤ 80 %

შრობის დრო

20° C ტემპურატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში	მტვრისადმი მუდმივი	შეხებით მშრალი	შემდგომი ფენის დატანა	ხელმეორედ მიფრქვევა
დრო (საათი)	4	8	16	12

დაბალი ტემპურატურა და მაღალი ტენიანობა ზრდის შრობის დროს

ხელსაწყობის წმენდა

გამოყენების შემდეგ უნდა გაასუფთავდეს სინთეზური ფისოვანი გამხსნელით ან უნივერსალური გამხსნელით.

მიითითებები

უსაფრთხოების რჩევები

პრიალა:

მარტივად აალებადი, ცეცხლსაშიში. მომწამლაკია წყლის ორგანიზმებისათვის. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. აორთქლილმა აირმა შეიძლება გამოიწვიოს სიფხიზლის დაქვეითება და გონების დაბინდვა. **მოარიდეთ ბავშვებს!** მოარიდეთ ცეცხლს. მიფრქვევის დროს არ შეისუნთქოთ. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. არასაკმარისი ვენტილაციის პირობებში გამოიყენეთ რესპირატორი. გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებულ შენობებში.

გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოს ხელოვნურად ჰირდებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი. ჰერმეტიკად დახურული შეფუთვა შეინახეთ კარგად ვენტილირებულ ადგილას. მოარიდეთ კანზე, ან თვალში მოხვედრას. შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

შეიცავს: ნაფტა (ნავთობი), ჰიდრო დამუშავებული მძიმე.

ნახევრად მქრქალი:

მოარიდეთ ბავშვებს! შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია კანზე. მომწამლაკია წყლის ორგანიზმებისათვის. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. მოარიდეთ თვალბინება, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მილებსა თუ ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი სათვალეები და ხელთათმანები. კანთან შეხებისას: დაიბანეთ უხვად წყლითა და საპნით. გადაყლაპვის შემთხვევაში: არ გამოიწვიოს ხელოვნურად ჰირდებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი.

შეიცავს: ცხიმოვანი მჟავები, C 18 - უჯერი, დიმერები, რეაქციის პროდუქტები N,N-დიმეთილ-1,3-პროპანედიამინის და 1,3-პროპანედიამინის, ფტალის ანჰიდრიდით.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

VOC

(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/e): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 40 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

Giscode

BSL40

პროდუქტის კოდი საღებავები/ლაქები

M-KH02

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია

ალ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge